ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3708464

ნომერი: AR1558141

თარიღი : 15.11.2017

გაცემის თარიღი : 30.11.2017

გაცნობის თარიღი : 01.12.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მირცხულავა , N 9-11 / ქალაქი თბილისი , ალიო მირცხულავას ქუჩა N11ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ია გაბოძე პ/ნ 24001005076
- კასპი გ.სააკაძის ქ. N 26

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1558141 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ინფორმაციას და დოკუმენტაციას ქ. თბილისში, ალ.მირცხულავას ქუჩა #9-11 /11ა-ში სამსახურის მიერ გაცემულ მშენებლობის ნებართვებთან დაკავშირებით.
პასუხად გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისში, მირცხულავას ქუჩა #9/11-ში, მირცხულავას ქუჩა #11ა-ში, სამსახურის

მიერ გაცემულია შემდეგი აქტები:
2009 წლის 11 მარტს #01/241 ბრძანებით შეთანხმდა მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის I ბლოკის არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა.
2009 წლის 11 მარტს #01/242 ბრძანებით შეთანხმდა მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის II ბლოკის არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა.
2009 წლის 11 მარტს #01/243 ბრძანებით შეთანხმდა მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის III ბლოკის არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა.
2009 წლის 11 მარტს #01/244 ბრძანებით შეთანხმდა მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის IV ბლოკის არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა.
2011 წლის 05 აპრილის #1215 ბრძანებით ცვლილება შევიდა სამსახურის #01/242 ბრძანებაში, კერძოდ მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2013 წლის 06 იანვრის ჩათვლით.
2011 წლის 05 აპრილის #1217 ბრძანებით ცვლილება შევიდა სამსახურის #01/243 ბრძანებაში, კერძოდ მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2012 წლის 06 ოქტომბრის ჩათვლით.
2011 წლის 05 აპრილის #1218 ბრძანებით ცვლილება შევიდა სამსახურის #01/241 ბრძანებაში, კერძოდ მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2012 წლის 06 ოქტომბრის ჩათვლით.
2011 წლის 05 აპრილის #1219 ბრძანებით ცვლილება შევიდა სამსახურის #01/244 ბრძანებაში, კერძოდ მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2012 წლის 06 ოქტომბრის ჩათვლით.
2014 წლის 13 ოქტომბრის #1539776 ბრძანებით გაიცა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის II ბლოკის შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე, მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გასვლის გამო, ახალი მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა.
2014 წლის 15 ოქტომბრის #1534560 ბრძანებით გაიცა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის I ბლოკის მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გასვლის გამო, ახალი მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის სანებართვო მოწმობა.
2016 წლის 21 ოქტომბრის #2901977 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ## 01.13.04.017.100 და 01.13.04.017.085 საკადასტრო ერთეულებზე არსებული შენობების დემონტაჟის პროექტი.გაიცა დემონტაჟის ნებართვა და დემონტაჟის სანებართვო მოწმობა.დემონტაჟის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 21 ოქტომბრიდან 2017 წლის 21 ოქტომბრის ჩათვლით.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 ნოემბრის #380 განკარგულებით მიღებულ იქნა დადებითი გადაწყვეტილება ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, ა. მირცხულავას ქ. NN9–11-ში, ა.მირცხულავას ქ. N11ა-ში, კოსმონავტების სანაპირო N91-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: NN01.13.04.017.100, 01.13.04.017.101, 01.13.04.017.085, 01.13.04.017.096) საცხოვრებელი უბნის (კომპლექსი) განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმების თაობაზე. (#2974184; 01/12/2016).
მოთხოვნის საფუძველზე გიგზავნით, ##1539776; 1534560; 2901977 ბრძანებების #2974184 წერილის და მათზე თანდართული დოკუმენტაციის ასლებს.
ასთან გაცნობებთ, რომ სამსახური ამ ეტაპზე ტექნიკურად მოკლებულია შესაძლებლობას მოგიმზადოთ 2009 წლის 11 მარტს #01/241, #01/242, #01/243, #01/244 ბრძანებებით შეთანხმებული პროექტების ასლები (დიდი ფორმატის გამო) და გამოვთქვამთ მზადყოფნას თქვენს მიერ კერძო კომპანიასთან შეთანხმების შემთხვევაში სამსახურის წარმომადგენლის თანხლებით მოხდეს პროექტების ასლების მომზადება.
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ კანონის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად - სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე უნდა შეიტანოთ ასლის გადაღების მოსაკრებელი - 11 ლარის და 45 თეთრის ოდენობით. აღნიშნული დოკუმენტაცია შეგიძლიათ გაიტანოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის პირველი სართულიდან (სივრცე #4) , შეტყობინების მიღებიდან მეორე სამუშაო დღეს, გატანის დროს საჭიროა წარმოადგინოთ აღნიშნული თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.
დანართი: 4 ალბომი.
გადასახდელი თანხის რეკვიზიტებია:
1. მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში
2. მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
3. ბანკის კოდი: TRESGE22
4.ანგარიშის ნომერი: 200122900
5.სახაზინო კოდი: 300773173
6. გადახდის დანიშნულება: საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი (#AR1558141, 15.11.2017წ.)